

სოციალური კაპიტალის აღქმა და გამოყენება XX საუკუნის 60-იან
და 90-იან წლებში დაბადებული ადამიანების მიერ

ნათელა გოგელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა გოგელია

27.06.2016.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის თემაა სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში. კვლევის მიზანი იყო იმის ცხადყოფა, თუ რა დატვირთვა ენიჭება სოციალურ კაპიტალს ორი განსხვავებული თაობის (XX საუკუნის 60-იან და 90-იან წლებში დაბადებული ადამიანები) წარმომადგენლებისთვის. ეს ორი თაობა შერჩეულ იქნა, რადგან, სავარაუდოდ, განსხვავებული უნდა ყოფილიყო სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა, მისი გამოყენებისა და დაგროვების ხერხები იმ ადამიანების შემთხვევაში, რომელთაც სოციალიზაცია საბჭოთა კავშირის პერიოდში გაიარეს, და მათთვის, ვინც 90-იან წლებში დაიბადა.

კვლევის რესპონდენტები შეირჩა შემდეგი ცვლადების გათვალისწინებით: ასაკი, განათლება, კარიერული წარმატება/წარუმატებლობა, სქესი. სამიზნე ერთობლიობას წარმოადგენენ ქალაქ ოზურგეთში დაბადებული ინდივიდები, რომლებმაც სკოლა იქ დაამთავრეს და ახლა თბილისში ცხოვრობენ. საინტერესო იყო, როგორ მოახერხეს კარიერული სოციალიზაცია ჰომოგენური ჯგუფის წევრებმა, რომელთაც პირველადი სოციალიზაცია ერთნაირ გარემოში გაიარეს.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც, გულისხმობს რა ინდივიდების აღქმებისა და წარმოდგენების შესწავლას, სოციალური კაპიტალის დაგროვებისა და გამოყენების ტექნოლოგიების სიღრმისეული განხილვის საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგებმა დადასტურა, რომ სოციალური კაპიტალის დაგროვებისა და გამოყენების სტრატეგიები თაობების წარმომადგენლებს შორის განსხვავებულია; საინტერესო მიგნება იყო, კერძოდ, ის, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფების წევრები სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას სხვადასხვანაირად აღიქვამენ. დადგინდა, რომ სოციალური კაპიტალი უფროსი თაობის წარმომადგენლების კარიერულ წარმატებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა; ახალგაზრდები კი თავიანთ ახლანდელ ან სავარაუდო წარმატებას სოციალურ კაპიტალს ნაკლებად უკავშირებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულ როლს თამაშობს მათი სოციალიზაციის პროცესში. კვლევის ერთ-ერთ საინტერესო მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ გამოიკვეთა სოციალური კაპიტალისა და კულტურული კაპიტალის ურთიერთმიმართება; ეს კი გულისხმობს იმას, რომ, ხშირ შემთხვევაში, ინდივიდების სოციალური კაპიტალი კულტურულ კაპიტალად კონვერტირდება.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ამ ეტაპზე არსებულ კვლევებში სოციალური კაპიტალი, ძირითადად, წარმოდგენილია სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ ნდობის კუთხით, ხოლო აღნიშნული კვლევის საგანია სოციალური კაპიტალის მნიშვნელობის შესწავლა მიკროდონეზე. გარდა ამისა, სოციალური კაპიტალის კულტურულ კაპიტალად კონვერტირების საკითხი შეიძლება იქცეს თემად, რომელშიც სამომავლოდ კვლევებში გაამახვილებენ ყურადღებას.

Abstract

Topic of the current Masters' paper is the definition of the social capital in the process of the socialization of an individual. The aim of the research was to reveal the role of social capital in between of the two different generations' (people who were born in the XX century in the 60s and the 90s) representatives. These two generations were chosen because supposedly the definition of the social capital, its accumulation and utilization methods had to be different for the people, who went through the process of socialization during the time of the Soviet Union, and also for the people, who were born in the 90s.

The respondents of the research were chosen based on the variables: age, education, successful/unsuccessful career, gender. The respondents born in Ozurgeti, who graduated from the local schools and currently are living in Tbilisi, represent the targeted group.

It was interesting to find out how did the homogenous group members, who socialized in the same environment, managed to socialize their career development.

The method of the interview chosen for the research was biographical-narrative style, which contains the study of the individuals' perceptions and views. Because of this, the method gives the possibility to analyse in depth the ways of utilization and accumulation of social capital.

The results of the research showed that the strategies of utilization and accumulation of social capital are different in between the generations. It was interesting to find out that the chosen age group members understand the definition of social capital differently. The results showed that the social capital had the decisive role in

development of the older generations' career. The young generation do not relate their current or future success to the social capital; instead, they indicate that the social capital plays certain role in the process of their socialization. Also in the research it is underlined the relationship in between the social and cultural capitals in which it is suggested that in most of the cases individual social capital is being converted into the cultural capital.

The results of the research are important because, at this stage in all the existing researches done in Georgia, the social capital mainly is represented by the studies which analyses the trust in relation to public services and in differentiation of this the subject of the abovementioned research is to study importance of the social capital on the micro level.